# ხაშურის მოამბე

№5(329) 22 თებერვალი, სამშაბათი, 2022 წელი


## ოსიაურში მოსახლეობის მასობრივი ვაქცინაციის პროცესი დაიწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურში ადგილობრივი მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესი განხორციელდა. მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სიმონ გულედანი მოქალაქეებს შეხვდნენ, სადაც, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. დარიგდა კორონავირუსის პრევენციისთვის მიმართული საინფორმაციო სახის ბროშურები. აღსანიშნავია, რომ საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ვაქცინაციის წამახალისებელი ფულადი დანამატების გაცემა თებერვლის თვეშიც გრძელდება, რომელიც პირველ აცრაზე 200 ლარს, ხოლო დამატებით ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში 100 ლარიან დანამატს ითვალისწინებს.

## ხაშურის ამერიკულ სივრცეში შენობების უსაფრთხოების საკითხებზე შეხვედრა გაიმართა

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ტექნიკური განყოფილების ხელმძღვანელი კრის ჯეფსონი და ამავე განყოფილების თანამშრომლები შეხვდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანს, თავმჯდომარის მოადგილეებს - ცოტნე ნოზაძესა და ნოდარ ლომიძეს, ამერიკული სივრცის კოორდინატორ ქეთევან მეტრეველს, მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილებისა და ზედამხედველობის სამსახურის, საზოგადოების წარმომადგენლებს და უსაფრთხოების საკითხებში არსებული ამერიკული გამოცდილება გაუზიარეს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საევაკუაციო გეგმის მნიშვნელობას, უსაფრთხოების იმ სტანდარტებს, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები აწესებს შენობების დაგეგმარების პერიოდში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა დასაქმებულთა პერსონალურ განვითარებასა და პირად პასუხისმგებლობაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში წვლილის შეტანაში.

შეხვედრის ბოლოს განხილული იყო სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

## „ომიკრონი“ ისევ გვიტევს, ხსნა მასობრივი ვაქცინაციაა

**„ომიკრონი“ საქართველოში ანტირეკორდებს ხსნის. „ომიკრონი“, რომელიც კოვიდ 19-ის ერთ-ერთი შტამია, გავრცელების სისწრაფით გამოირჩევა და ინფიცირების უპრეცედენტო მატებას იწვევს. კორონავირუსის ახალ შტამს საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ „შემაშფოთებელი ვარიანტის“ სტატუსი მიანიჭა. კორონავირუსის დადებითობის დღიური მაჩვენებლების გამოვლენის საგრძნობლად მომატების შესახებ გვესაუბრება ხაშურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სამსახურის უფროსი დავით ჩიქოვანი.**

- როგორც მთელს ქვეყანაში, ისე ჩვენს რაიონშიც, კორონა ვირუსის ახალ შტამს -„ომიკრონს“- საკმაოდ მაღალი გავრცელება აქვს. მიმდინარე წელს, ხაშურში, დაახლოებით 500 - მდე ადამიანია დაავადებული ამ ვირუსით. მართალია, სწრაფი ტესტით ზუსტად არ დგინდება არის თუ არა ინფიცირების შემთხვევაში ვირუსის ახალი შტამი „ომიკრონი“, მაგრამ დაახლოებით 90, 95 პროცენტი „ომიკრონია“, რადგან თუკი არის შემთხვევა, რომ ოჯახის ერთი წევრი დაინფიცირდა, ძალიან სწრაფადვე ოჯახის მთელი შემადგენლობა მოდის ჩივილებით და ფაქტობრივად, ყველა მათგანი უკვე დაავადებულია... „ომიკრონი“ ძალიან სწრაფად ვრცელდება, თითქმის მომენტალურად. სტატისტიკურად, პანდემიის დაწყებიდან დღემდე, დაახლოებით, 13500 - ზე მეტია მთელს რაიონში დაავადებული, ახალი წლიდან დღემდე კი 500 ადამიანი დაინფიცირდა. ამ პერიოდისათვის სტატისტიკური მონაცემებით, მოიმატა გამოვლენამაც. საზოგადოებაში ვრცელდება მოსაზრება, რომ სწრაფი ტესტი არ ავლენს „ომიკრონს“, თუმცა, თავის დროზე და კარგად აღებული სრაფი ტესტი ავლენს ვირუსს. მაგალითად, ორიოდე დღის წინ, 77 სწრაფი ტესტიდან 45 შემთხვევაში „ომიკრონი“ დადასტურდა. რაც შეეხება დღიურ გამოვლენას, პანდემიის მორიგი ტალღის პიკში, თითქმის 300 შემთხვევას გადავცდით დღის განმავლობაში. თუმცა, უახლოესი დღეების მაჩვენებლით შედარებით შემცირდა გამოვლენა, დაფიქსირდა ვირუსის 100-150 დადებითი შემთხვევა, მაგრამ ეს მოცემულობა, სავარაუდოდ, იმაზე მეტყველებს, რომ თითქმის ყველა დაავადდა და ნაწილი კიდევ არ მოდის, რადგან თუკი „ომიკრონის“ ვირუსი ოჯახში ერთ ადამიანში მაინც დაფიქსირდა, უკვე ცხადია, რომ ოჯახის სხვა წევრებში იგივე სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, საქმე აქვთ ასევე კოვიდ ვირუსის ახალ შტამთან და აღარ იტარებენ ტესტირებას...

რაც შეეხება პისიარ ტესტირებას, კვლავაც ჩვეულებისამებრ გრძელდება ყოველ 14 დღეში დადგენილებით განსაზღვრულ ჯგუფებთან, იქნებიან ესენი პოლიციელები, ექიმები, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებათა ბენეფიციარები... თუმცა სხვა შემთხვევებშიც, როდესაც სწრაფი ტესტით არ დასტურდება კოვიდ ვირუსი სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, იმავდროულად ტარდება პისიარ ტესტირებაც და მეორე დღეს უკვე გვაქვს მისი შედეგიც, დადასტურებული ვირუსით. ასე რომ, ყველა შემთხვევაზე გვაქვს შესაბამისი რეაგირება და გამოვლენა ხდება მყისიერად.

- ბატონო დავით, **ქვეყანაში და მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული ეპიდვითარება, ცხადია, არ არის სახარბიელო. ასეთ დროს, საინტერესოა როგორ მიმდინარეობს მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესი?**

- შედარებით მოიკლო აცრებმა, თუმცა, ალბათ მაინც მუშაობს 50 წელს ზევით მოსახლეობაში მონეტარული წახალისების მთავრობის დადგენილება და მეტ- ნაკლებად არის მოსახლეობის მომართვიანობა ვაქცინირებისათვის. ამ ფონზეც, იმუნიზაციის მსურველთა რაოდენობის კლება მაინც საგრძნობლად შესამჩნევია. უფრო ხშირად მომართვიანობა არის ბუსტერდოზით

(დასასრული III გვერდზე)

# ა(ა)იპ „კულტურისა და ბავშთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)ი.პ კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება წარმოადგენს სახელოვნებო, შემოქმედებითი,პროფესიული განათლების და გამოცდილების მქონე კულტურის მუშაკთა ერთობას, რომელთა პირდაპირ სამსახურეობრივ -პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მის დაქვემდებარებაში მყოფი კულტურის დაწესებულებების (მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი- თოჯინების თეატრი, საქალაქო კულტურის ცენტრი, ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი გაერთიანების ცენტრი, სურამის კულტურის ცენტრი, ქვიშხეთის კულტურის ცენტრი) - მეშვეობით ხელი შეუწყოს,ჩამოაყალიბოს და განავითაროს კულტურის- ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებები: თეატრალური, თოჯინური ხელოვნების, ხალხური ფოლკლორის ხელოვნების დარგების: სიმღერის, ქორეოგრაფიის, რეწვის, ფერწერის, მუსიკის.

2021 წლის საანგარიშო პერიოდი ა.ა.ი.პ - სთვის, წინა წელთან შედარებით, ნაყოფიერი და მეტ-ნაკლებად დატვირთული აღმოჩნდა. კოვიდ პანდემია გრძელდება. კულტურის სფერო არსებული რეგულაციების სრული დაცვით ადაბტირდა რეალურ რთულ მდგომარეობასთან მიმართებაში და ეცადა ჩვეული შემოქმედებითი ფორმის აღდგენას: ჩვენი ძირითადი დასაყრდენი ცოცხალი შემოქმედებითი პროცესისთვის არის სკოლამდელი და სასკოლო ასაკის მქონე ბავშვები,მოსწავლე-ახალგაზრდობა,ზოგადად, საზოგადოების ყველა ფენა. ჩვენ პირდაპირ ცოცხალ კონტაქტში ვართ ბავშვებთან,მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებთან და იზოლირებულად მათ გარეშე ჩვენი მუშაობა წარმოუდგენლად მიგვაჩნია! დადის ბავშვი ბაღში, სკოლაში და თავისთავად კულტურის დაწესებულებებშიც, სპექტაკლებზე, ინტერესთა მიხედვით სხვადასხვა წრეებზე, მხატვრულ კოლექტივებშიც ერთიანდება და ასე იყო ყოველთვის. პანდემიამ ყველაზე დიდი დარტყმა მაინც კულტურის დაწესებულებებში მიმდინარე ცოცხალ შემოქმედებით პროცესს მიაყენა: განვმეორდები და მიუხედავად ყველაფრისა, გაერთიანების ცალკეულმა დაწესებულებებმა , კოლექტივებმა მაინც შეძლეს მუშაობის წარმოება და აქ ისევ და ისევ გამოსაყოფია ჩვენი სახელოვანი თოჯინების თეატრი!

თეატრმა 2021 წლის მაის-ივნისის თვეში უჩვენა თოჯინური სპექტაკლი „ყველა თაგუნას უყვარს ყველი“. 2021 წლის 12 ივლისიდან 18 ივლისამდე თეატრი იმყოფებოდა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე „ნარინჯისფერი ქობულეთი'' და გრან-პრით და პირველი ადგილით ხელდამშვენებულები დავბრუნდით. ფესტივალზე უამრავი შემოქმედებითი კოლექტივი იყო ჩამოსული. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა უკრაინის ერთერთი ფოლკლორული შემოქმედებითი კოლექტივის გამოსვლები და

ყველაზე მთავარი, მეგობრული შეხვედრა ჩვენი და მათი ანსამბლის წევრების მონაწილეობით. გაიცვალა ურთიერთშემოქმედებითი გამოცდილება, იყო უამრავი ცეკვა, სიმღერა, სადღგრძელოები საქართველო-უკრაინის მეგობრობის პათოსით გაჯერებული.

2021 წლის 25 ივნისს, თოჯინების თეატრის წინამდებარე სკვერში, თეატრის ორგანიზებით, მოეწყო ფერადი ცარცით ხატვის ფესტივალი რომელშიც, წინამდებარე ბინისა და ჩვენი უბნის ბავშვებთნ ერთად, მონაწილეობდნენ „მომავლის სახლის“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბაშვები. ფესტივალის ყველა მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები და დიპლომები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაშისკრის ბრძოლის გამარჯვებისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული ,რომელიც 27 ივნისს, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის - ზაზა დუგლაძის სრული მხარდაჭერითა და ჩვენი ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებას მისი ყოვლად უსამღვდელოესობა მეუფე სვიმეონი და სტუმრები დაესწრნენ. საზეიმო კონცერტი ჩვენი მხატვრული კოლექტივების, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების გამოსვლით დასრულდა და რაც მთავარია, ხუთასამდე ბავშვი, ახალგაზრდა განიმსჭვალა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით, გაიგო ჩვენი წინაპრების გმირული წარსულის შესახებ.

ასევე აღსანიშნავია ზაფხულში, 20 ივნისს, ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, ჩვენი მუნიციპალიტეტის შემოქმედ ხელოვანთა-ხალხური რეწვის, ქარგვის, გობელენის, ფერწერული ნამუშევრების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა, რომელიც ისტორიულ ქალაქ-მუზეუმ უფლისციხეში ჩატარდა და განსაკუთრებული მოწონება ჩვენმა გამოფენამ დაიმსახურა.

ასევე, 19, 20, 21 დეკემბერს, ფოლკლორულმა გუნდმა „ქართლი'' -ხელ-ლი გიორგი შუბითიძე,მონაწილეობა მიიღო ბორჯომ - ბაკურიანში გამართულ შემოქმედებით ფესტივალზე.

რაიონის სანაქებო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფრესკამ'' (ქორეოგრაფი ელენე რატიანი), 15 დეკემბერს, მონაწილეობა მიიღო ფესტივალზე „ფოლკარტი''.

ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია, ამა წლის 27 დეკემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრის ეგიდით ჩატარებული წინასაახალწლო ღონისძიება და ასევე მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ 25 დეკემბერს ჩატარებული ნაძვის ხის ანთების ღონისძიება და 31 დეკემბერს წინა საახალწლო ღონისძიება „სტუმრად საახალწლო სოფელში'', სადაც ჩვენმა მხატვრულმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ჩვენს ანგარიშში, ასევე, გვინდა წარმოგიდგინოთ ა.(ა.ი.) პებისთვის გამოყოფილი სუბსიდიით, 2021 წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამეურნეო სამუშაოები.

ა) სურამის კულტურის ცენტრში, ივლისი - აგვისტოში, რეაბილიტაცია გაუკეთდა სურამის კულტურის ცენტრის სველ წერტილს,რომელიც კულტურის ცენტრის არსებობის მანძილზე არ მომხდარა. აღნიშნული სამუშაოები 3723 (სამი ათას შვიდას ოცდასამი) ლარი დაჯდა.

ბ) ქვიშხეთის კულტურის ცენტრში რეაბილიტაცია გაუკეთდა სამ სამუშაო ოთახს, შეიცვალა კარებები, ფანჯრები, ამოიცვალა დაზიანებული იატაკი და შეიღება. ასევე შევუძინეთ კარადა - სულ დაიხარჯა 3345 (სამიათას სამას ორმოცდა ხუთი) ლარი.

გ) ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითრების ცენტრში მოვახდინეთ გაზის მილის რელოკაციის სამუშაოები - სულ 708,29 (შვიდას ცხრა) ლარი.

დ) თოჯინების თეატრში შეიცვალა თეჯირი და ფარდის წინა შუბლი,მოეწყო ფარდის ამწევი კონსტრუქცია - 600 (ექვსასი) ლარი.

ე) თეატრის სკვერის ცოცხალი ღობისთვის, 35 გრძივ მეტრზე, შევიძინეთ 150 ცალი მცენარე ტუია, მოხდა გრუნტის გაჭრა , ნიადაგის მომზადება და ჩარგვა, მავთულის დამცავი ღობის მოწყობა- დაჯდა 3714 (სამიათას შვიდას თოთხმეტი) ლარი.

ეს გახლავთ პანდემიის პირობებში თითზე ჩამოსათვლელი მაგრამ თავისი მნიშვნელობით ძალზე ღირებული ღონისძიებების ჩამონათვალი. ჩვენ იმედის თვალით ვუყურებთ მომავალს და გვჯერა, რომ პანდემია ერთ მშვენიერ დღეს დასრულდება და ჩვენი გაერთიანება კვლავ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში.

ანგარიშს დანართის სახით თან ერთვის კულტურის ცენტრების გაერთიანებაში შემავალი კულტურული დაწესებულებების მიერ ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი:

<u>ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრი</u>

პროექტი ათი ნაწარმოები - 29 მარტი;
წიგნების თარო - 10 ივნისი;
ჰარი პოტერის დღე - 21 მაისი;
საბავშვო წიგნის დღე - 2 აპრილი;
წიგნის დღე - 23 აპრილი;
გამოფენა ღია ცის ქვეშ „არ ვუშინდებით- ერთად გავაფერადოთ ჩვენი სამყარო'' – 20 ივნისი;

<u>სურამის კულტურის ცენტრი</u>

ღონისძიება ახალ წელთან დაკავშირებით „შეხვედრა პირველ კლასელებთან - 19 იანვარი;
პოეზიის საღამო „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები'' – 9 აპრილი;
წიგნის კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კითხვა- იოსელიანის ნაწარმოების „გასროლა კაჟანი თოფით'' – 23 აპრილი;
დედაენის გაცილება - 16 მაისი;
წლის შემაჯამებელი ღონისძიება - 25 ივლისი;
შემოდგომის გაცილება - 20 ოქტომბერი;
საახალწლო ზეიმი - 24 დეკემბერი.

<u>ქვიშხეთი - კულტურის ცენტრი</u>

შობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი- საღამო - 8 იანვარი;
საქალაქო კულტურის ცენტრს შემოქმედებითი აქტივობა არ ჰქონია.

2021 წლის განხორციელებული პროგრამის კულტურული ღონისძიებების ჩამონათვალი.

უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას დაბადების დღის აღსანიშნავად ორგანიზებული ღონისძიებები - 739 ლარი;
3-8 მარტს დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები- 2001 ლარი;
9 აპრილთან დაკავშირებული ღონისძიებების მოწყობა 207.50 ლარი
9 მაისთან დაკავშირებული ღონისძიების ხარჯი - 567 ლარი;
ყვავილების გვირგვინის შესყიდვა, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 332 ლარი;
ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიების ხარჯი - 300 ლარი;
ტაშისკარში გამართული ღონისძიების ხარჯი - 660 ლარი;
სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა ტრანპორტირება ბორჯომში - 120 ლარი;
მასწავლებელთა აღიარების კონკურსში გამარჯვებულისათვის ყვავილების შესყიდვა - 39 ლარი;
უკრაინის ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში გასამართ ღონისძიებებისათვის პროდუქციის შესყიდვა - 600 ლარი;
სოფელ წაღვლში, ანსამბლ „ფორტეს'' კონცერტის ხელშეწყობისათვის ხარჯი - 1930 ლარი;
8 აგვისტო - რუსეთ -საქართველოს ომის დროს დაღუპულების მემორიალის ყვავილების გვირგვინით შემკობა - 350 ლარი;
მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა ტრანსპორტირება ბორჯომში მუსიკის მე-11 საერთაშორსო ფესტივალზე -160 ლარი;
საპატიო მოქალაქეებისათვის მედალიონების შესყიდვა - 1000 ლარი;
სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ყვავილების გვირგვინის შესყიდვა - 125 ლარი;
სხადასხვა პროდუქტის შეძენა შშმ პირების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის დღის ცენტრის ბავშვებისათვის - 1106.50 ლარი;
წვეულების და ღონისძიების ხარჯი - 100 ლარი;
კლასიკური მუსიკის მე-14 საფესტივალო კვირეულში „ფესტივალიდან ფესტივალამდე'' მონაწილეობის ხარჯი - 1960 ლარი;
ანსამბლ „ქართლის'' წევრების ტრანსპორტირება რესპუბლიკურ ფესტივალში „ბაკურიანი 21'', მონაწილეობის ხარჯი - 600 ლარი;
მოლბერტისა და საკანცელარიო ნივთების შეძენა ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების წრის ბავშვებისათვის - 1494 ლარი;
სამუსიკო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება „ჰარმონიას მიერ ორგანიზებულ საშობაო კონცერტზე მონაწილეობის ხარჯი - 250 ლარი;
მცირე ფასიანი ფოიერვერკის ორი კომპლექტის შეძენა წინა საახალწლო ღონისძიებისათვის - 1500 ლარი;
ანიმატორული მომსახურება ახალი წლის ღონისძიებისათვის - 400 ლარი;
ჩოხა-ახალუხის კომპლექტის შეკერვის მომსახურების ხარჯი - 3780 ლარი;
საკვების შესყიდვა წაღვლის ბაღის ბავშვების, კრიზისული ოჯახებისთვის, ინკლუზიური განათლების ბავშვებისათვის, ალილოს საჩუქრებისათვის - 5287.20 ლარი.

გიორგი ბოლოკაძე,
ა(ა)იპ „კულტურისა და ბავშთა და მოზარდთა შემოქმედებითი
განვითარების ცენტრების გაერთიანების“ დირექტორი

# „ომიკრონი“ ისევ გვიტევს, ხსნა მასობრივი ვაქცინაციაა

(დასასრული)

ვაქცინირებისათვის. უმეტესობა იცრება „ ფაიზერის“ ვაქცინით.

**- ბატონო დავით, როგორია კოვიდ ინფიცირებულთა ჰოსპიტალიზაციისა და მათ შორის, რაც ყველაზე მეტად სამწუხაროა, ლეტალობის მაჩვენებელი?**

- „ომიკრონის“ ასეთი სწრაფი, ელვისებური გავრცელების პირობებში, საბედნიეროდ, არ გვქონია ფატალური შემთხვევები. აი, საავადმყოფოში ვირუსით ინფიცირებულთა მოთავსების შემთხვევვები კი ძალიან ბევრია. თუკი მიმდინარე თვის დასაწყისში ხაშურის სამედიცინო დაწესებულება „გორმედში“ კოვიდსაწოლები თავისუფალი იყო, დღევანდელი მდგომარეობით, უკვე შევსებულია. აქვე მინდა გითხრათ, რომ არც ისე ადვილი მიმდინარეობა ახასიათებს ვირუსის ახალ შტამს, „ომიკრონი“ არანაკლებ ყურადსაღებია, ამიტომ არ უნდა შევამციროთ სიფრთხილე, უნდა გამოვიჩინოთ კვლავაც მაღალი პასუხისმგებლობა და დავიცვათ ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ უსაფრთხოების დადგენილი ღონისძიებები, პაციენტმა უნდა მიიღოს აუცილებლად ექიმის დანიშნულება, და გართულების შემთხვევაში, გადავიდეს სტაციონარში.

- **თუ არსებობს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებში არსებულ ეპიდვითარებაზე**?

- ბოლო ხანებში, გავტესტეთ მთლიანად ხაშურის რაიონში არსებული სკოლები და შედეგები არც თუ სახარბიელოა. ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, სოფლის სკოლებიდან 38 პედაგოგს დაუფიქსირდა ვირუსი, საგრძნობლად არის მომატებული კოვიდვირუსის დადებითი შემთხვევები ქალაქის სკოლებშიც პედაგოგებსა და სკოლის პერსონალს შორის, ასეთივე გახშირებულია დადებითი შემთხვევების გამოვლენა პოლიციაშიც, მაგალთად, დაცვის პოლიცის შემადგენლობიდან 15 თანამშრომელში 8 მათგანს დაუდასტურდა კოვიდი. ხედავთ, რომ აქაც მომატებულია დადებითობის მაჩვენებელი, იმიტომ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, არის ვირუსის უსიმპტომო მიმდინარეობა, პაციენტი არ არის ინფორმირებული, რომ იგი ვირუსის მატარებელია და ამ დროს ასრულებს სამსახურეობრივ მოვალეობას, ირღვევა პირბადის ტარებისა და დისტანციის დაცვის რეგულაციები და შესაბამისად, იმატებს ინფიცირების მაჩვენებელიც...

**- ბატონო დავით, რადგან საუბრისას, გამოიკვეთა, რომ გეგმიური ტესტირებისას გამოვლენის მაჩვენებელი საგრძნობლად მომატებულია საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებში, როგორია რეკომენდაციები მათი მისამართით?**

- როგორც უკვე ცნობილია, 10 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მათ შორის სკოლის პედაგოგები გადავიდნენ 5 დღიან იზოლაციაზე, მეექვსე დღეს უტარდებათ სწრაფი ტესტი, უარყოფითი შედეგის შემთხვევაში ასრულებენ იზოლაციას და უბუნდებიან სამუშაო ადგილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, 7 დღემდე აგრძელებენ საიზოლაციო პერიოდს. ამ პერიოდის შემდეგ ვირუსი აღარ არის გადამდები, თორემ, შესაძლოა, პოსტ კოვიდური სიმპტომები დარჩეს საიზოლაციო პერიოდის გავლის შემდეგაც... სკოლებთან დაკავშირებით, არსებობს რეკომენდაციები, რომ თავად უნდა გადაწყვიტოს რესურსცენტრმა, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, შესაბამისი რესურსის არარსებობის შემთხვევაში, გადავიდეს თუ არა ონლაინ სწავლებაზე. მით უფრო, რომ დიდია კოვიდ ვირუსის გავრცელება ბავშვებშიც და ჩვენ უკვე უძლურნი ვართ ეპიდემიასთან, თითქმის უკონტროლო ხდება გავრცელება და სტატისტიკურად ვითვლით მხოლოდ შემთხვევებს. როდესაც ვირუსის გამოვლენის შემთხვევები დღიურად სცდება 300, აქ უკვე ფიზიკურად შეუძლებელია დაავადებულებთან დაკავშირება და მათი კონტაქტების გამოვლენა... თუმცა, ასეთი გართულებული ეპიდვითარების პირობებშიც ყოველდღიური კონტაქტი ნარჩუნდება რესურსცენტრთან, სკოლის დირექტორებთან და სისტემატიურად ვაწვდით მათ ინფორმაციას გეგმიური ტესტირებების შედეგების შესახებ. არავინ არ რჩება ყურადღების მიღმა, რომ დაინფიცირების შემთხვევაში, არ გადავიდეს იზოლაციაში, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით.

**- ბატონო დავით, ვირუსი ასეთი სწრაფი გავრცელების და გართულებული ეპიდემიოლოგიური ვითარების ფონზე, თქვენ რას მიიჩნევთ მნიშვნელოვნად ეპიდსიტუაციის კვლავ კონტროლის ჩარჩოებში მოქცევისათვის?**

- ისევ და ისევ, მთავარი რეკომენდაცია რჩება ვაქცინაცია... შესაძლოა გაჟღერდეს მოსაზრება, რომ აცრილებს ხვდებათ კოვიდი, და რატომ? მეც აცრილი ვიყავი სამჯერადად, მაგრამ მაინც დამიფიქსირდა ვირუსი, თუმცა, ამ შემთხვევაში, ეს არ არის საგანგაშო, მიუხედავად დაინფიცირებისა, დაავადების მიმდინარეობა იყო მსუბუქი და გადავიტანე იოლად. „ომიკრონი“ ძალიან სწრაფად ვრცელდება, მაგრამ პირველი, რაც აუცილებელია თავდაცვისათვის, არის პირბადე და დისტანციის დაცვა, ხალხმრავალი, დიდი შეკრებებისგან თავის არიდება და კიდევ ერთხელ, აცრა. დაინფიცირების შემთხვევაში, აცრა გვიცავს იმისგა,ნ რომ საავადმყოფოში არ მოვხვდეთ, რეანიმაციაში არ მოვხვდეთ. მთავარია, რომ ფატალური შემთხვევებისაგან ვიყოთ დაცული... საბედნიეროდ, ვირუსის ახალი შტამის გავრცელების პირობებში, ფაქტობრივად, ლეტალობა არ გვქონია ჩვენს რაიონში.

თეა ახალკაცი

---

<u>უმეცრების ლოგიკა</u>

# „ვინც კაცია, ორი ყური აქვს იმიტომ ბოძებული, ცოტა კარგი, ბევრი ცუდი,მეორედან გააბრძანოს შეღწეული ერთი ყურით“

მ. მაჭავარიანი

ბევრი ვეცადე “უდღეური” კაცების თუ ქალების ნათქვამი არ ჩამრჩენოდა ყურში, მაგრამ არაფერი გამოვიდა. კაცი რომ გეტყვის: “კოვიდზე იმიტომ არ ვიკეთებ აცრას, ზემოდან (კოსმოსიდან) ველოდები ბრძანებასო”, ანდა, “თურმე მაფიოზებმა შექმნეს ეს ვირუსი და გაავრცელეს, მერე ვაქცინა დაამზადეს, რომ ფული იშოვონო”, რომის პაპმა რომ მოუწდა, აიცერითო, კათოლიკეები თურმე სექტანტები არიან, რომის პაპი კი სატანაა (ღმერთო შენ დაგვიფარე).

“ვიდრე მოძღვარი არ მეტყვის, არ ავიცრი”, “არ მინდა, არ ავიცრი”, “მავანმა რომ აიცრა, იმიტომ აიცრა, რომ სიკვდილის ეშინია”, სხვათა შორის, ამ ვაუბატონს შეხვდა კოვიდი და კინაღამ ფატალურად დაასრულა სიცოცლე, ქარელის საავადმყოფოდან გამოსული, ისეა შეშინებული, პირბადეს არ იშორებს და ორჯერაც აიცრა.

ამ ადამიანების ლოგიკას რომ ვუსმინოთ, ანათემას უნდა გადავცეთ ედ. ჯენერი, რომელმაც ყვავილის დაავადების თავიდან ასაცილებლად, პირველმა დაიწყო აცრა, უნდა შევაჩვენოთ პასტერიც, ვირუსი რომ აღმოაჩინა და ჯილეხის და ცოფის საწინააღმდეგოდ, პირველმა შექმნა ცოცხალი ვაქცინა.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს ადამიანები ღმერთს იშველიებენ თავიანთი ბრიყვული მოსაზრებების გასასამართლებლად: “ღმერთს ასე უნდა”, “ღვთის ნებას ვერ წაუხვალ” და ა.შ.ასე ხომ ღმერთს აყენებენ შეურაცხყ-




ოფას. როგორ, ღმერთს რატომ უნდა უნდოდეს ადამიანის სიკვდილი, მით უმეტეს მცირეწლოვანების. რა შესცოდეს მათ? ღმერთის ნება იყო ვეზუვის ამოფრქვევა და სამი ქალაქის ლავით დაფარვა? ან 1755 წელს, დიდმა მიწისძვრამ პორტუგალიის დედაქალაქი რომ დაანგრია. თითქოს ზღვა ამოდუღდა, უზარმაზარი ტალღა დაეძგერა ნავსადგურს, დალეწილი ხომალდები ხმელეთზე გამოსტყორცნა, დაანგრია მეფის სასახლე, ეკლესიები ნანგრევებად აქცია. დედამიწა ცეცხლს აფრქვევდა, რამდენიმე წუთში, ათეულობითათასი ადამიანი დაიღუპა და დასახიჩრდა... რაღა შორს მივდივართ, გავიხსენოთ ახლახანს იაპონიის ნაპირებზე თავსდამტყდარი ცუნამი.

ნუთუ ეს უბედურებანი სჭირდებოდა ყოვლადკეთილს? ღმერთი ხომ სიყვარულია, სიკეთეა და ბუნების მოვლენებს რად უნდა ვაბრალებდეთ მას? პანდემიის ღმერთზე დაბრალებით, ხომ დიდ შეცდომას ვუშვებთ? ღმერთი სწორედ ამას არ აპატიებთ მათ. არ ჯობია, ჭკუას დაატანონ ძალა, იცხოვრონ, მიჰყვნენ მოვლენებს, იშრომონ, იბრძოლონ, თავი დაანებონ მეცნიერების მიღწევების უარყოფას. ის, რომ მოვლენების, პროცესების, არსებისა და კანონების შესახებ ობიექტური, ჭეშმარიტი ცოდნის სისტემატიზაციაა, აბსტრაქტულ-ლოგიკური ფორმით, ის ხომ ემპირიულია.

რას მოგვიტანს მეცნიერება და სარწმუნოება რომ ერთმანეთს დავუპირისპიროთ? ეს არ შეიძლება და ამის შესახებ ამბობდა ილია ჭავჭავაძე გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე: “მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა, რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება გაეწიროს მეცნიერებისათვის, პირიქით, იგი სამ მეცნიერებას ასარწმუნოებდა და სარწმუნოებას ამეცნიერებდა”. მეცნიერება გვასწავლის, რომ უნდა უარვყოთ დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულებები და მხოლოდ დოგმებზე დამყარებული არაკრიტიკული აზროვნება, ფაქტები გავაანალიზოთ, ლოგიკურად ვიაზროვნოთ, “ფაქტი ჯიუტია”, ამბობენ ბრიტანელები. ყველა ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს. ვაქცინაცია, ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ, აქტიური იმუნიტეტის შესაქმნელად საუკეთესოა.

ეს კი შესაძლებლობას იძლევა შევაჩეროთ კაცთა მოდგმის ყველაზე დიდი უბედურება, სიკვდილი, უდროოდ კარზე მომდგარი. ყველაზე დიდი სიკეთე სიცოცხლეა და თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ მას. რაც შეეხება ზოგიერთ ე.წ მოძღვარს, ვურჩევდი, წესიერად წაიკითხონ ილიას “გლახის ნაამბობი” ან ჰიუგოს “ეპისკოპოსი მირიელი”, “საბრალონიდან” და გაიგებენ, როგორი უნდა იყოს სულიერი მამა.

“უდღეურებმა” კი კარგად მოუსმინონ ისევ ილიას ნათქვამს: “ღმერთმა რომ ადამიანი შექმნა, უბრძანა, წადი შენ თავს შენვე მოუარეო, შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო. რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო, მე. აქ, ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. აღუღებულ კუპრის ხიდზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ-გაივლიო, მადლი მხარში შეგიჯდება და გაგატარებსო („ოთარაანთ ქვრივი)”.

“უდღეურები”, როგორც პოეტი უწოდებს, ყველა ქვეყანაში არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ყველაზე მეტი აღმოჩნდა(თურმე 42%), ამიტომ ვართ პროცენტულად ერთ-ერთ პირველ ადგილზე ვირუსით დაღუპულთა მხრივ. არ ვბრაზობ ამ ადამიანებზე, ისინი ვერ აზროვნებენ, ქედმაღლები არიან, ასეთებად დაიბადნენ და ასეთია მათი ბუნება. ამაზე გაჯავრება იგივეა, რომ გაბრაზდე, ცეცხლის ალი მაღლა რად ადისო, მაგრამ ძალიან მაწუხებს, რომ ამდენი ადამიანი იმყოფება უმეცრების ჭაობში, ასეთი ადამიანები დევნიდნენ ალბათ ჯენერს და სხვებს. ასეთებმა გაასამართლეს აშშ-ში წითელას აცრისათვის ექიმები.

კიდევ იმაზე ვფიქრობ, როგორ მივუყენო მათ დეკარტის ცნობილი სენტენცია: “ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ”. არსებობენ კი, ისინი?..

კლიმენტი სუთიაშვილი,
ქვიშხეთი

# სამუშაო ვიზიტით - სლოვაკეთში

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და სოფლის განვითარების სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამსახურის წარმომადგენლები სლოვაკეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა რეგიონული და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან,რა დროსაც საუბარი შეეხო რეგიონული განვითარების,მწვანე ინოვაციების დანერგვის,სოციალური მეწარმეობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებს. სლოვაკეთის რესპუბლიკის ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებმა საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს შიდა ქართლის რეგიონის დელეგაციის წევრებს და სამომავლო თანამშრომლობაზეც შეთანხმდნენ.

დელეგაციის შემაჯამებელი შეხვედრა საქართველოს საელჩოში შედგა, შეხვედრის ფარგლებში საუბარი შეეხო ვიზიტის მნიშვნელობას,სამომავლო გეგმებს,მათ შორის,შიდა ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებისა და სლოვაკეთის რესპუბლიკის რეგიონული მთავრობის თანამშრომლობის პერსპექტივებს.

პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „მეგობრობის ხიდი ქართლოსი“ სლოვაკეთის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება, რომლის მიზანია შიდა ქართლში საოკუპაციო ხაზთან მდებარე მოწყვლადი თემების შესაძლებლობების გაძლიერება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, ქალების და ახალგაზრდების ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების განათლების სამსახურის

### პროექტი

1.პროექტის სახელწოდება -„გმირთა ვარამი“- საქართველო და ქართველები“

2. პროექტის აღწერა: პროექტი ითვალისწინებს კონკურსის ჩატარებას ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ თემაზე ორ სამიზნე ჯგუფთან:

1. თემით დაინტერესებული ნებისმიერი ასაკის მსურველი მთელი საქართველოს მასშტაბით.

მსურველთა რაოდენობის გათვალისწინებით კონკურსი შეიძლება ჩატარდეს ერთ ან რამდენიმე ეტაპად.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ადამიანები,რომელთაც წაკითხული აქვთ ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“.

3.პროექტის მიზანი: ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ პოპულარიზაცია, მისი საშუალებით წიგნიერი მოსახლეობის დაინტერესება საქართველოს ისტორიით და ქართველ ხალხში სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გაღვივება.

4. პროექტის ამოცანები:

❖ პროექტში ჩაერთოს საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების სადროშოების მიერ მოძიებული ადამიანების მაქსიმალური რაოდენობა.

❖ პროექტის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ სოციალური ქსელებით გავრცელდეს ინფორმაცია ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების პოპულარიზაციის მიზნით.

5.პროექტის ხანგრძლივობა: ყოველწლიური. 2022 წელს ფინალური შეხვედრა ჩატარდება 4 მარტს, ზუმ-ის პროგრამის მეშვეობით.

6.პროექტით გათვალისწინებული აქტივობები და კონკურსის პირობები:

❖ ცხადდება კონკურსი;

❖ ყველა სადროშოში შეიქმნება მონაწილეთა გუნდები. გუნდის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 1-დან 5 ადამიანის ჩათვლით. გუნდების რაოდენობა შეზღუდული არ არის;

❖ გუნდები უპასუხებენ მათთვის დასმულ 24 შეკითხვას;

❖ ყოველი სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;

❖ ერთი პასუხისათვის მოსაფიქრებელი დროა 1 წუთი;

❖ კონკურსში იმარჯვებს ერთი გუნდი,რომელიც მოაგროვებს სხვებზე მეტ ქულას;

❖ თანაბარი ქულების შემთხვევაში გუნდები უპასუხებენ დამატებით კითხვებს გამარჯვებულის გამოვლენამდე;

❖ 1-ელ, მე-2 და მე-3 ადგილზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ 10 მარტს მცხეთის სამთავროს ტაძრის ეზოში,ლევან გოთუას საფლავთან,მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილ ქართველი ინტელიგენციის შეკრებაში.

❖ გამარჯვებულ გუნდებს სიგელებსა და ფასიან საჩუქრებს გადასცემენ: ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები,საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება;

❖ პროექტის მიმდინარეობა და შედეგები განთავსდება საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოებისა და მონაწილე სადროშოების სოციალური ქსელების გვერდებზე.

მოსალოდნელი შედეგები: კონკურსი გაზრდის ინტერესს ზოგადად წიგნის,ქართული მწერლობის,კერძოდ კი,ლევან გოთუას „გმირთა ვარამისადმი“; ამ წიგნის მიზნობრივად წაკითხვა ხელს შეუწყობს ადამიანებს, უკეთ გაიცნონ საკუთარი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა,დაინტერესდნენ მისი ღრმად შესწავლით,რაც აუმაღლებს მათ ეროვნულ თვითშეგნებას, გააღვივებს და აღზრდის მათში სამშობლოს სიყვარულის გრძნობას; დაეხმარება სამშობლოს მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაში.

პროექტის პოპულარობა აამაღლებს სხვა,არამონაწილე,ადამიანების დაინტერესებასაც აღნიშნული ნაწარმოებით მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროექტის ავტორი: საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების განათლების სამსახურის ხელმძღვანელი ლალი ნაზღაიძე-ერქომაიშვილი

კითხვების ნიმუშები

1.ვინ მოიხსენიება ნაწარმოებში „თეთრ კეისრად“,ვისაც მრავალჯერ აწვია დიდელჩობა ალექსანდრემ?

პასუხი: რუსეთის იმპერატორი

2.რას მოითხოვდა „ალაზნის სასწორი“ ალექსანდრე მეფისაგან?

პასუხი: შვილი გაეწირა,საქვეყნო საქმისთვის პირადული გაეღო.

3. ვის ახასიათებს ლევან გოთუა ამგვარად: „... გათამამებული ხანები მოდრიკა, მრავალი ტანი უთავოდ დასტოვა, მრავალი თავი - უთვალოდ. არც შური დაიშურა, არც სისხლსა და ჟლეტას მოერიდა... ცოცხალი ძმები მეტოქეებად და მტრებად მიაჩნდა, საფლავში ჩაწოლილნი კი - სანატრელად და საიმედოდ. არც დაცხრა,ვიდრე მრავალი ძმა თუ ბიძა -ძმისწულები სანატრებლად და საიმედოდ არ გაიხადა.

პასუხი: შაჰ-აბასს

# ერთად ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის სისუფთავეზე

ძვირფასო ხაშურელებო, ფოტოები, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, გადაღებულია ერთი საათის შუალედში.

ქალაქის ცენტრში განლაგებული ნაგვის კონტეინერების დიდი უმრავლესობა დაცლის შემდგომ მყისიერად ივსება ნარჩენებით. ნარჩენების დიდი ნაწილი მუყაოს ცარიელი ყუთებია, რაც ურნებში შეუსაბამოდ დიდ ადგილს იკავებს და ადგილს არ ტოვებს სხვა ნარჩენებისთვის.

ჩვენი თხოვნაა ყველა მოქალაქის,მაღაზიის თუ სხვა დაწესებულების მფლობელის თუ თანამშრომლის მიმართ, თავი შეიკავონ მსგავსი ქმედების განხორციელებისგან.

ცნობის სახით შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ნარჩენების მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს აქტით განსაზღვრული ნარჩენების შეგროვების კონტეინერში არადანიშნულებისამებრ მოთავსება (მათ შორის, მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების კონტეინერში მოთავსება) – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

ღიად გვსურს განვაცხადოთ, რომ ჩვენი მიზანი არ არის ვინმეს დაჯარიმება,ჩვენი მიზანი ქალაქში სისუფთავეზე ზრუნვაა. ამიტომ, დიდი იმედი გვაქვს,აღნიშნული საჯარიმო ღონისძიებების გამოყენება არ დაგვჭირდება.

ერთად ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის სისუფთავეზე!

## ზეკოტაში ფიტნეს ტრენაჟორები დამონტაჟდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა მისამართზე სავარჯიშო მოედნების მოწყობას აგრძელებს.

ამჯერად, გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორები, დაბა სურამის სოფელ ზეკოტაში დამონტაჟდა და პროექტი მთლიანად ადგილობრივმა ბიუჯეტმა დააფინანსა.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ მიწობში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

“ჭაბურღილის მშენებლობა, მიწობში, წყლის პრობლემას მოაგვარებს რაც, ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს. ჭაბურღილის მოსაწყობად ტენდერები ცხადდება დიდ და პატარა ბეკამში, პროექტირება იწყება ჩუმათელეთში და ქემფერში. “-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა ადგილზე სამუშაოების დათვალიერებისას. მერთან ერთად, სოფელ მიწობში იმყოფებოდა მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მისი განმარტებით, სამუშაოებს, სოფლის პროგრამა და ადგილობრივი ბიუჯეტი ერთობლივად აფინანსებს და ღირებულება 91 812 ლარს შეადგენს.

# ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4)

ასე მხატვრულ ფორმებში გადმოგვცემს გ. დევდარიანი აჯანყების სამზადისს...

ხაშურში აჯანყება არ მომხდარა, რადგან დროულად გახდა ცნობილი აჯანყების გადადება, მაგრამ რაიონის მთელ რიგ სოფლებში 25 ოქტომბერს აჯანყება მაინც დაიწყო. ეს უმეტესად ითქმის ისეთ სოფლებზე, სადაც ქართველობა ნაკლებად ცხოვრობდა და უმეტესობას ოსური მოსახლეობა შეადგენდა. როგორც ცნობილია მათთან სამუშაოდ სპეციალურად იყო მოვლინებული ჩრდილოეთ კავკასიიდან ბოლშევიკი ზნაურ აილაროვი. მისი ხელმძღვანელობით სოფელ ხცისში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი. განსაკუთრებით აქტიურობდა ტ. ბუხრიკიძის შეიარაღებული რაზმი, რომელიც აჯანყების დღეებში, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, 600-ზე მეტი კაცი იყო გაერთიანებული. ამ რაზმმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხა მტკვრის ორივე მხარეს მდებარე სოფლებში. ბოლშევიკური შეიარაღებული რაზმების ბანაკი და შტაბი მოთავსებული იქნა სოფელ ალში.

მიუხედავად ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებისა რაიონის რიგ სოფლებში საბჭოთა ხელისუფლება 12 დღის განმავლობაში არსებობდა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს “ობოლი მგზავრის” ხელმოწერით გაზეთ “ერთობაში” 1919 წლის ნოემბერს გამოქვეყნებული წერილის „ქართლისაკენ“ გაცნობა: „მასში კარგად არის გადმოცემული რაიონში განვითარებული მოვლენები და ნაჩვენებია ხელისუფლების მხრიდან გატარებული ღონისძიებები.

„დამე მთებში ჩასაფრებული ყაჩაღები ჩვენს სადარაჯოებს ესროდნენ

ნაშუადამევს ცნობა მივიღეთ, რომ ქართლიდან გვარდიის რაზმმა შემოუარა ქედებს და მაღლობი დაიჭირა.

მოსაწყენმა ღამემ გაიარა, გათენდა ისევ სროლით. მიღებული ცნობებით ხეობებში და მთებში დაბინავებულთ ემატებოდა. ცხენოსანთა ერთი პატარა რაზმი მარჯვნივ წინ მიიწევდა.

გათენებისას დივიზიონის ცხენოსან

გვარდიელმა ნიკ. ივანიძემ და მისმა ამხანაგებმა დაატყვევა სოფელ ჯაგანთკარის მცხოვრები ოსი ბესარიონ თიბილაშვილი, მას აღმოაჩნდა ფრანგული სისტემის ვინტოვკა პატრონებით. მან განაცხადა, რომ იგი „პოდრაჩიკი“ იყო ტრაპიზონში, შემდეგ ვაჭრობდა სხვადასხვა ადგილას. მოძრაობის მთვარი ხელმძღვანელი იყო კავკაველი უცნობი ოსი, ორი ხაშურელი, რომლიდანაც ერთი მათგანი აფიცრულად იყო გამოწყობილი. აგრეთვე მეთაურობდნენ შეიარაღებული ძალების უფროსი ვასო თიღაშვილი, ყაჩაღი ბუხრიკიძე, ბიჩიკაშვილი, ცხინვალელი ხარებოვი, ყელეთელი ვ. ჯიოევი და სხვები. მათ შევსებული ხალხი გუნდებად დააწყვეს. იარაღი დაურიგეს და სხვა.

ბანდიტების შეიარაღებულთა რიცხვი 11 ნოემბერს საღამოს 269 კაცი იყო სიით, მხოლოდ 12 ნოემბერს და 13-ს მათ შეემატა კიდევ 100-მდე შეიარაღებული. ბრბოს რიცხვი კი 1000-მდე ადიოდა.

ბესარიონ თიბილაშვილი, რომელიც „ცეპში“ ტყვეთ ჩაიგდეს, აღმოჩნდა მოწინააღმდეგეთა მებრძოლი რაზმის ერთი გუნდის უფროსი. მან საგულისხმო ცნობები გადმოგვცა. ითხოვა მაპატიეთ ყველა მეთაურებს დაგაჭერინებთო.

დილის 9 საათზე მთებიდან სროლა აუტეხეს ჩვენს რაზმებს. სროლამ რამდენიმე ხანს გასტანა. შემდეგ დროგამოშვებით ისმოდა.

გომიდან ცნობა მოვიდა, რომ გუშინ დაჭერილი ყაჩაღები ბაბლიძე და მისი ამხანაგი მილიციონერებს გაექცათ, მაგრამ დივიზიონის ცხენოსანი გვარდიელები დაეწიენ და მოჰკლესო.

12 საათზე საველე შტაბმა ატენიდან ცნობა მიიღო, რომ ყაჩაღები სოფელს დაესხნენ, კომისარი, ერობის წევრები, რწმუნებული ადმინისტრაციის და სხვები გაიტაცესო.

1 საათზე წრომის მხარეში დაჭერილი ოსებიდან ერთმა, – ვ. თიბილოვმა, შემდეგი მოგვითხრო: მოძრაობას სათავეში ჩაუდგა კავკაველი. მას თან ეახლა ცნობილი ყაჩაღები ცხინვალელი ქელეხსაშვილი, გომელი ფედრა გიკაშვილი, ბიჩიკაშვილი, სიმონ თედეშვილი, გიგო ბეყოშვილი, ფხიკიძე და მრავალი სხვა.

მე თოფი და პატრონები ჩამაბარეს, ჯარში ჩამრიცხეს. ირგვლივ ყველა სოფლები შეკრეს.

გიკაშვილისა და ქარქუზაშვილის მეთაურობით დაიჭირეს და ტყეში წაიყვანეს ყაჩაღების წინააღმდეგ მებრძოლი რაზმის უფროსი სვანიძე.

აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ხცისის, ზღუდერის საზოგადოება და ზოგიერთი სოფლები. ქართველებიც იყვნენ, მხოლოდ ესენი ძალით გამოჰყავდათ, მაგრამ იპარებოდნენ.

მეთაურები გვამზადებდნენ მთავრობის დასამხობათო.

ნაშუადღევს სროლა შეწყდა, ქარელიდან მომავალი რაზმი ცხენოსან ბანდიტებს ზურგში მოექცა. მათ შორის სროლა გაიმართა.

რაზმი ცხენოსან გვარდიელებს შემოუერთდა. რაზმის ერთმა ნაწილმა გვარდიის აფიცერ კვალიაშვილის ხელმძღვანელობით ტყვედ ჩაიგდო უცხო ოსი, რომელიც ჩვენ გვარდიელებს ეძახოდა:

-ნუ სროლილობთ, მე თქვენი „კამანდირი“ ვარო.

დაჭერილი ოსი აღმოჩნდა ზემო აღნიშნული კავკაველი. ის გამოტყდა და, სხვათა შორის, შემდეგი განმარტება მოგვცა: მე ცნობილი კომუნისტი ვარ, სოფელ კადგერონის მცხოვრები, თერგის მხარედან. მხოლოდ დიდი ხანია, რაც თბილისში ვიმყოფები. თბილისიდან მე წამოვედი, როგორც ოსეთში ცნობილი და ოსურათ კარგი მოლაპარაკე. განსაზღვრული ინსტრუქციით. მე უნდა მომემზადებინა აჯანყებისათვის გუჯარეთის ხეობის, ქარელის და ხაშურის ოსები. პირველად გუჯარეტში მივედი. ყრილობები მოვიწვიე, ხალხმა მიიღო ჩემი წინადადება. იქ უმთავრესად მდიდარი ხალხია და მომემხრნენ. შემდეგ გადმოვიარე ქარელის რაიონში, აქ შემოუერთდა, თუმცა ყაჩაღები, მაგრამ რაზმით ფხიკიძე, ლომიძე და სხვები.

კავკასიის კომუნისტურ რევოლუციურ სამხედრო კომიტეტს გადაწყვეტილი ჰქონდა 24 ოქტომბრისათვის საქართველოში საერთო გამოსვლები რესპუბლიკის მთავრობის ჩამოსაგდებათ, მაგრამ შემდეგ ცნობა მივიღე თფილისიდან, რომ შეიარაღებული გამოსვლები გადადებულია რვა დღით და ჩვენ თანახმად ცნობისა 9 ნოემბერს შევუდექით გამოსვლებს. 13 ნოემბერს ღამე უნდა აგვეღო ხაშური. აქედან (ხცისიდან – თ.ლ.) ჩვენ წავიდოდით ხაშურისაკენ, იქიდან (ალიდან-თ.ლ) ლომიძე თავის რაზმით. ჩვენი მიზანი გახლდა საერთო შეიარაღებული გამოსვლები. შეკითხვაზე,– იცნობს თუ არა გ. შახნაროვს, გვიპასუხა: -შახნაზაროვი თფილისში ჩვენთან დადიოდა, მეც ვიყავი მეჯვრისხევში შახნაზაროვთან.

მან დაასახელა ისეთი პირები ქართლში, რომლებიც ზოგი ძველი ყოფილი „ურიადნიკებია“, ვაჭრები და სხვები...

3 საათზე ცხენოსან გვარდიელებს შემოუერთდათ ქვეითი რაზმი. რაზმის ხელმძღვანელმა ვ. მიქაძემ შემდეგი ცნობები გადმოგვცა: მათ გამოიარეს სოფლები, გზაში კრებებს მართავდნენ. დ. მაჭავარიანი და ის ხალხს უხსნიდა თანამედროვე მდგომარეობას. საღამოს რაზმი ავიდა მიწობის მთაზე. მიწოფის მთიდან „ბანდები“ შეეცადენ ზურგიდან მოსვლას, მაგრამ ამაოდ.

დილით მაღლობებში ხცისის მახლობლად რაზმს სროლა ჰქონდა. მთებიდან „ბანტიდები“ ჩვენს რაზმელებს უძახდნენ: „ქართველებო, დაგვნებდით, დაგვნებდითო!“ სროლის დროს გვარდიელებმა მოჰკლეს 6 ბანდიტი და რამოდენიმე ოსი დაატყვევეს. გვარდიის მხრივ ზარალი არ ყოფილა, მხოლოდ 12 საათზე დასჭრეს გვარდიელი გაბრიელ არხოზაშვილი თხილნარის გვერდით.

საღამოს ხაშურიდან ცნობა მივიღეთ, რომ იქ დაუჭერიათ კომუნისტების დიდძალი ფურცლები. ხცისში ხალხის ყრილობა 4 საათზე გაიმართა, რაზმის უფროსმა გ. ხიმშიაშვილმა ყრილობას შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„-ჩვენ მოვედით აქ ყაჩაღების და ავაზაკების წინააღმდეგ და ხალხის გასანთავისუფლებლად. საქართველოს რესპუბლიკის გვარდია და ჯარი, რომელიც იცავს ჩვენს ქვეყანას და ხალხის უფლებს, არავის ნებას არ მისცემს, რომ თავისი ავაზაკური მოქმედებით საქართველოს ხალხის თავისუფლება დაღუპოს ჩვენ ვაფრთხილებთ ყველას, რომ მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლაში არ ჩაერიოს. ქვეყნის წინაშე არავინ ღალატი არ გასწოს, თორემ სასტიკად დაისჯებაო.“

ღამდებოდა, როცა ცხენოსანი გვარდიის ნაწილებმა სოფლის ხევები ღუდა, ხალები, ერისხევი დაიჭირა და გაქცეულთა დევნა განაგრძო. ღამის 7 საათამდე ხცისის ხეობაში ბრძოლის დროს დატყვევებულთა რიცხვი 69-მდე ავიდა.

ღამე სიწყნარე იყო. არსით სროლა აღარ ისმოდა, მხოლოდ ძლიერი ცივი ქარი და წვიმა იყო.

15 ნოემბერი.

გათენებისას ცნობა მივიღეთ, რომ ატენის მიმართულებით გვარდიელებს და მილიციონერთ შეტაკება ჰქონდათ ბანდიტებთანო. ყაჩაღებიდან დაჭრილია ჩიხლაძე (რწმუნ), ერთი მილიციონერი, „ბანდიტებმა“ ბრძოლაში ის ველზე დატოვეს. დატოვეს აგრეთვე 30 ცხენი, 54 ვინტოვკა, 14 მოკლული და გარბიან. გვარდია მისდევთ გაქცეულთ.

9 საათზე კრისხევში იყო ჩვენი ცხენოსანი გვარდია. ხეობები სრულიად დაცლილია, სოფლებში სიწყნარეა. რაზმის უფროსმა გ. ხიმშიაშვილმა კრისხევის ოსებს გამოუცხადა: „ჩვენთვის სულ ერთია ოსი, ქართველი და სხვა. საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებთათვის კანონი ერთგვარია და სამართლის წინაშე ყველა პასუხს აგებს ვინც დამნაშავეაო. მაშ, თქვენი ვალია შრომა და მშვიდობიანი ცხოვრებაო.

აღმოჩნდა, რომ კრისხევის მიმართულებით ყაჩაღები და ბანდიტები გაქცეულია. ღამით გორები ცხენოსანმა გვარდიელებმა დაიჭირეს.

ჩვენ გზა განვაგრძეთ.

დღე ცივი იყო, წვიმა და ცივი ქარი ქროდა.

ხაშურიდან შუადღეზე ცნობა მივიღეთ, რომ ხაშურთან მიახლოვებულ „ბანდიტებში“ განხეთქილება მოხდა. განხეთქილება გამოიწვია იმ ამბებმა, რომ ზოგიერთ ადგილას მოხდა ყაჩაღთა მოძრაობის ლიკვიდაცია. ხაშურთან მიახლოვებულებმა, რაკი გაიგესო რომ მოატყუეს ისინი მეთაურებმა, რომ ვითომც გვარდია და ჯარი მათ მხარეზეა, მაშინათვე შიგნით გაიმართა ბრძოლა. მათ მოჰკლეს მეთაური ყაჩაღი არსენა ლომიძე. მისი ამხანაგები ორი: ერთი გ. ბეკოშვილი და მეორე უცნობი. ბრბო გაიფანტა, მეთაურად ასახელებენ გ. ძულიაშვილს.

ეს ხმები გამართლდა.

ქვიშხეთიდან ცნობები მივიღეთ, რომ გვარდიელებმა დაატყვევეს ჯგუფი ავაზაკებისა, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დასახული რკინის გზის დარაჯთა დახოცვა და გზების გადაჭრა.

ისინი გამოტეხილან დანაშაულში. ყველაფერი უთქვამთ. საღამოს რაიონში საერთო სიწყნარე იყო. ხალხი აღფრთოვანებულია, რომ განთავისუფლდა მოძალადეებისგან. ყველგან საუბარი, ყრილობები იმართებოდა.“

ხელისუფლებამ უმოკლეს დროში აღადგინა წესრიგი რეგიონში. დააპატიმრეს აჯანყების ხელმძღვანელები და 40-მდე აქტიური მონაწილე. სასამართლომ დახვრეტის განაჩენი გამოუტანა ზ. აიდაროვს. ე. ჩადუნელს. კ. თიბილაშვილს. ი. კორკოტაძეს და სხვებს.

გ. დევდარიანი შემდეგნაირად გადმოგვცემს თავის დაპატიმრების მომენტს: აჯანყებიდან ოთხი დღის შემდეგ „...მე მინდოდა ჩამოსვლა თბილისში საქმეების გამო. მე ჩამოვედი თბილიში ჯავშნიანი მატარებლით, მაგრამ არა ცეკაში, არამედ მეტეხში, საქმე ამნაირად იყო: საღამოს სამ საათზე მე მინდოდა ამეღო ბილეთი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ დამატუსაღებდნენ და დავაჩქარე სადგურიდან გასვლა. ამ დროს მომაძახეს: „ყმაწვილო!“ მოვბრუნდი და მივიღე კარგი სილა“ ჩამაჯინეს იმ ღამეს „გასტუკში“. ჩემს გარდა კიდევ იყო 20 ამხანაგი და შემდეგ გამოგვგზავნეს თბილისისაკენ.“

გატარებული ღონისძიებების შედეგად საქმიანობა შეაჩერა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მათ შორის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამაც-„სპარტაკი“ „ბევრი იჯდა ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგები საპყრობილეში... ხმების შემწეობით გავიგე, რომ ხაშურის ორგანიზაცია განადგურებულია“ - წერდა შემდეგ გ. დევდარიანი.

21 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სდმპ ხაშურის ორგანიზაციის კომიტეტის გაფართოებული კრება, რომელსაც თბილისიდან დაესწრნენ ანანია სალუქვაძე, ვალოდია გოგუაძე, მიშა ლაშქარაშვილი და სხვები. კრებამ მოისმინა ა. სალუქვაძის მოხსენება გორის მაზრაში გამოსვლების შესახებ. კრებაზე აღინიშნა, რომ მაზრაში გამოსვლებს ძირითადად ორი გარემოება ასულდგმულებდა: არცერთი სახელმწიფო დაწესებულება და საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ იდგა თვაის მოწოდების სიმაღლეზე. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ადგილობრივ მმართველობის ორგანოებზე („ადმინისტრაციაზე და მის აპარატზე“) და ბ) სასამართლოები არ ასრულებდნენ თავიანთ დანიშნულებას.

გორის მაზრაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭიროდ იქნა მიჩნეული რიგი ღონისძიებების გატარება. კერძოდ:

1. მიღებულიყო საჩქაროთ ზომები, დაუყოვნებლივ აღდგენისათვის საქართველოს სდმ პარტიის ორგანიზაციების, სადაც ამის შესაძლებლობა იქნებოდა;
2. დაუყოვნებლივ იქნას გაწმენდილი არასასურველი ელემენტებისგან, როგორც პარტიული ორგანიზაციები ისე სახალხო გვარდიის რიგები;
3. შეიქმნას პროპაგანდისტთა კადრი სოფლად პარტიული მუშაობის საწარმოებლად;
4. დაუყოვნებლივ გამოწვეულ იქნას გაორის მაზრიდან არჩეული დამფუძნებელი კრების დეპუტატები თავიანთ საარჩევნო უბნების შემოსავლელად;
5. მიღებულ იქნეს ზომები, რათა დაუყოვნებლივ შეიქმნას მტკიცე ადმინისტრაციული აპარატი გორის მაზრაში;
6. ზემოთ აღნიშნული საკითხების ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროდ იქნა მიჩნეული გორის სამაზრო სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის მიერ მოწვეულ იქნას მაზრის პარტიული ყრილობა.

(გაგრძელება იქნება)

## ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება: №ბ84.84220216

თარიღი:21/01/2022

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის თანამდებობაზე ლელა გელაშვილის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 1061 -ე მუხლის მე-13პუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების მესამე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და ლელა გელაშვილის 2022 წლის 20 იანვრის 19/842202022-84 განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის თანამდებობაზე დაინიშნოს ლელა გელაშვილი 2022 წლის 21 იანვრიდან;

2. ბრძანება ეცნობოს ლელა გელაშვილს;

**თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი**

---

ლელა გელაშვილი დაიბადა 1979 წელს. 1996 წელს დაამთავრა ქვიშხეთის საჯარო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის უცხოენათა სახელმწიფო ინსიტუტში, ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ მუშაობდა ინგლისური ენის პედაგოგად. პარალელურად, 2013 წლიდან, განათლების რესურსცენტრში ეკავა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელმძღვანელის პოსტი. 2019 წლიდან არის განათლების სამინისტროს წარმომადგენელი სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯი “ქართლის” ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა

მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი სერგო ლალიაშვილი შეხვდნენ ხაშურის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯი “ქართლის” დირექტორ ხათუნა ლობჟანიძეს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს - ქეთი გელაშვილს და ჯონი ხაჩიძეს.

კოლეჯი “ქართლის” ხელმძღვანელის განცხადებით, საგანმანათლებლო დაწესებულება მიმდინარე წლის სექტემბრიდან შეძლებს მსმენელების მიღებას. სასწავლო პროგრამები დაიგეგმება ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სტრუქტურების თუ მოქალაქეების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს მუნიციპალიტეტისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯი “ქართლის”სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს თანადგომა აღუთქვეს ყველა იმ საქმიანობაში, რაც ადგილობრივი მოქალაქეების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების განათლების ხარისხსა და ცხოვრების პირობებზე დადებითად აისახება.

## როგორც ანდაზა ამბობს...

ნინო სუხიაშვილის ბლოგი

დაიბადა. არავინ აღფრთოვანებულა, მაგრამ შეეგუენ, იფიქრეს, ანდაზა ამბობს, „სულ უშვილობას, ქალიც შვილიაო.“

სწავლა დააპირა. არაო, - უთხრეს, სკოლა ხომ დაამთავრე, მეტი რაღა საჭიროა, ან რას შეძლებ. აგერ, ანდაზა ამბობს, „ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო“. ქალი ხარ, ქმარი მოგხედავს, შვილები გეყოლება. ნათქვამია „ცხვარი მთითა და ქალი ქმრითაო“.

არ უნდოდა, არ სიამოვნებდა იმ მამაკაცის ვითომ „ყურადღება“ და სინამდვილეში ავხორცი მზერა. ვერ თქვა. ანდაზა ხომ ამბობს, „კარგმა ქალმა არცა ქნა და არცა თქვაო“. ჰოდა, მიათხოვეს კიდეც მისთვის არასასურველ ადამიანს. დიდად თავი არავის გამოუდვია მის დასაცავად, როცა ყოყმანი შეატყეს. რას ვიზამთო, აგერ ანდაზა გვეუბნება, „ქალი სხვისი კერის ნაცარიაო“.

გაუჭირდა შეგუება. უნდა გაუძლოო. ქმარს აღარავინ გამოგიცვლის, ნათქვამია, „ქალი ქმარსა სწუნობდა და იყო იმის ამარაო“. ძალადობას ნაჩვევი არ იყო. მორიდებულად, მაგრამ გააპროტესტა. რას იზამ, არ უნდოდაო. ხომ იცი, ნათქვამია „მეზობლის გამოჯავრებულმა ცოლი გალახაო“. ის ტყუოდა - მეზობელი, - შენ არაო. მეორედ აღარ იზამსო.

განმეორდა მეორედაც. უნდა მოითმინო, მოხდა ასეო. „ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.“ განა არ უყვარხარო. ხომ გაგიგონია, „სიყვარულით ჩემმა ქმარმა ბარ-საკვეთით მცემაო“. ალბათ, შენც მიზეზი მიეცი, აკი ანდაზაც ამბობს, „ანჩხლი ცოლი ქმარს ჭკუიდან შლისო“.

არ დასრულდა. გაუსაძლისი გახდა. რა ვქნათ, ჩვენ ვერ ჩავერევით, ნათქვამია, „ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო“. ნუღარც გაგვრევ თქვენს კონფლიქტში, არ გაგიგია, „ცოლ-ქმრის ამბავი მარტო ლოგინმა უნდა იცოდესო“.

ჰოდა, სასოწარკვეთილებისას, ერთხელ თვითონაც გაიხსენა „ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვეღარ გააკავებსო“ და ჩუმად, მაგრამ ჯიუტად და ყველა წესის დაცვით ჩამოწერა ტელეფონში 112-ის აპლიკაცია.

P.S.

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ანდაზა (ლათ. პროვერბიუმ) სინამდვილის, რეალობის გონებამახვილური განზოგადებაა.

112-ის მობილური აპლიკაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს უფასო, ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სერვისია, რომლის მთავარ უპირატესობას ადგილმდებარეობის განსაზღვრა წარმოადგენს. მას ჩუმი განგაშისა და ჩატის ფუნქციები აქვს და ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქეს საუბარი არ შეუძლია, ან დარეკვით საფრთხე ექმნება, მას SOS - ჩუმი განგაშის ან ჩატის ფუნქციების გამოყენება შეუძლია. აღნიშნული ფუნქციონალი განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროსაა მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია, რომ SOS ღილაკზე დაჭერით 112-ის ოპერატორთან მოქალაქის ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი GPS კოორდინატები იგზავნება, დაფიქსირებულ ადგილზე კი პოლიცია მიდის.

## ხაშურში, „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ცენტრალური სკვერის რეაბილიტაცია გრძელდება

პროექტის ფარგლებში, დაიგო ფილები, მოეწყო ბარდიურები, განათებები, დამონტაჟდა თანამედროვე სტილის შადრევანი, დაიდგა სკამები.

მიმდინარე სამუშაოები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა დაათვალიერეს. მათი განმარტებით, დიდი ყურადღება დაეთმობა სკვერის გამწვანების საკითხებსაც, რათა გართობისა და დასვენებისთვის სათანადო სივრცე შეიქმნას.

ხაშურის ცენტრალური სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება 566698 ლარს შეადგენს.

გაზეთი „ ხაშურის მოამბე-“ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაზეთის რედაქციის დიდი გულშემატკივარი და მეგობარი

**ელიზბარ (გუჯა) კიზირია**

და სამძიმარს უცხადებთ განცვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.